თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ბრძანება

MES 6 20 0000995952

16/10/2020

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსებული სასწავლო დეპარტამენტების, ასევე, შინაგან დაავადებათა #3, ფსიქიატრიის, ნარკოლოგიის დეპარტამენტების მიერ სასწავლო პროცესის დროებით დისტანციურ რეჟიმში გაგრძელების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის № 124/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 15 ოქტომბრის № 992045 ბრძანების საფუძველზე, ვიცე-რექტორის კლინიკური მიმართულებით, ირაკლი კოხრეიძის 2020 წლის 15 ოქტომბრის №991097 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. 2020 წლის 19 ოქტომბრიდან სასწავლო პროცესი გაგრძელებულ იქნეს დისტანციურ რეჟიმში:

ა)2020 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსებული სასწავლო დეპარტამენტების და შპს „ამტელ-ჰოსპიტალში“ განთავსებული შინაგან დაავადებათა #3 დეპარტამენტის მიერ;

ბ)ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციამდე (კლინიკებში საკარანტინო რეჟიმის მოხსნამდე) ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის სასწავლო დეპარტამენტების მიერ.

2.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.დაევალოს თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (გ.ჭიჭინაძე) ბრძანების თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

4. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორებს, ფაკულტეტების დეკანებს, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსებულ სასწავლო დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, შინაგან დაავადებათა #3 დეპარტამენტის, ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის სასწავლო დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

კანცლერი